

“ადგილობრივი შედეგები სამხრეთ კავკასიის კონფლიქტის ზონაში: მხარდაჭერა ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობების მიერ”

სექტემბერი – დეკემბერი 2009 წელი. დაფინანსებულია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის მიერ.

ადგილობრივი და რეგიონალური ორგანოების კონგრესის და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის ინიციატივით, 2009 წლის 29-30 ოქტომბერს ქუთაისში ჩატარდა სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციების კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა აღნიშნული ორგანიზაციების საერთო ამოცანების გადაწყვეტას სამხრეთ კავკასიაში. კერძოდ, “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“-ს მხარდაჭერას და ზოდადად ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის გაძლიერებას, როგორც ეს კონგრესის #272 (2008) რეზოლუციაში "ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში" არის აღნიშნული.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ რეგიონში ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის განვითარებისათვის საჭიროა:

- სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიის ხელშეწყობა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე
- ახლადდაარსებული სამხრეთ კავკასიის ევრორეგიონის ხელშეწყობა
- სამხრეთ კავკასიის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციების თანამშრომლობის გაძლიერება
- სახელმწიფო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების
- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს როლის გაზრდა რეგიონში
- „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“-ს, როლის გაძლიერების და მხარდაჭერის აუცილებლობა, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების, ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაძლიერების, სომხეთსა და აზერბაიჯანში ანალოგიური სააგენტოების შექმნის საკითხებში.